

კონკურენციის შეზღუდვა ფასებისა და სავაჭრო პირობების ფიქსირებით:
ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და „კონკურენციის შესახებ“
საქართველოს კანონის მე-7 მუხლის გამოყენების პრაქტიკა საქართველოში

ანა ჭანტურია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე დევძე, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის
სამართლისა და ევროპული ინტეგრაციის სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ჭანტურია

03.07.2017

აბსტრაქტი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონკურენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის განვითარების საქმეში. შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკა, რომელიც კონკურენციის კანონმდებლობით რეალიზდება, მსოფლიოს მრავალი განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია.

კონკურენციის ისეთმა შემზღუდველმა ქმედებებმა, როგორცაა ფასებისა და სავაჭრო პირობების ფიქსირება, განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოზე, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაზე.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დადების შემდეგ, კონკურენციის ყოვლისმომცველი კანონებისა და მათ ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი ქმედითი ორგანოს არსებობა საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა. ამასთან, მნიშვნელოვანია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების როლი საქართველოში კონკურენციის დავებზე სწორი პრეცედენტების განვითარების კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია ფასებისა და სავაჭრო პირობების ფიქსირებით კონკურენციის შეზღუდვის სამართლებრივი ასპექტები და შეფასებულია საქართველოს არც თუ ისე ხანგრძლივი პრაქტიკის შესაბამისობა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კონკურენციის შეზღუდვა, ფასების ფიქსირება, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო.